მახათას მთაზე, თბილისში, შენდება ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი და სავანე. ეს არის მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენს ისტორიაში; ყოველი ქართველი, როცა შევა ამ ტაძარში, შევა თავის აშენებულ ღვთის სახლში...



პირველი შემოწირულობა ტაძრისთვის გაიღო მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ ილია II, თავისი წინაპრების, საქართველოს მეფეებისა და პატრიარქების სახელზე. ამჟამად აქციაში 145 000 ადამიანია გაწევრიანებული. ისინი ყოველთვიურად რიცხავენ თანხას ტაძრის ასაგებად.



პროექტის ავტორი: ომარ ნაფეტვარიძე

ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი და სამონასტრო კომპლექსი სწორედ ჩვენი ერთიანობითა და თანასწორობით იქნება განსაკუთრებული, მსოფლიოში არ არსებობს სხვა ანალოგი, როცა არა რომელიმე ბიზნესმენი ან ორგანიზაცია, არამედ ხალხი, თავისი კეთილი ნებითა და თანაბარი მონაწილეობით ააშენებს უდიდესი მნიშვნელობის სამონასტრო კომპლექსს. ღვთისმშობლის საკვირველთმოქმედი ხატის სადიდებლად აგებულ სულიერ სავანეში შესულ ყველა დედას შეეძლება თავისი შვილისთვის სიამაყით თქმა – ეს ტაძარი მე და შენ ავაშენეთ, მთელ საქართველოსთან ერთად!

პაატა ბურჭულაძე



999 წელს, აღდგომის დღესასწაულზე ათონის მთაზე, ქართულ მონასტერ „ივერონში“ სასწაულებრივი გზით მიბრძანდა ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი. ზღვიდან მისი გამობრძანების პატივი მხოლოდ სიწმინდით გამორჩეულ ქართველ ბერს მამა გაბრიელს ხვდა წილად. იმ ადგილას, სადაც წმინდა გაბრიელმა ხატი გამოასვენა, საკვირველთმოქმედმა წყარომ ამოსჩქეფა, რომელიც დღემდე მოედინება და ყოველგვარ ხორციელ და სულიერ სნეულებათა მკურნალია.

## 17 აპრილს მახათას მთაზე ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის ისტორიული მშენებლობა დაიწყო!

წმინდა სამების საკათედრო ტაძრის შემდგომ ღვთისმშობლის სავანის მშენებლობა მახათას მთაზე არის კიდევ ერთი საშუალება ჩვენი ერის მიერ ღვთისაგან განშორების ცოდვის მონანიებისა. მე-20 საუკუნეში ღვთის თაყვანისცემის შეჩერება საყოველთაო ხასიათს ატარებდა; შესაბამისად, უფალთან დაბრუნება საერთო სახალხო საქმეა. სწორედ ამიტომ უწოდა მისმა უწმიდესობამ ამ ტაძარს ქართველი ერის მეორე ავტოპორტრეტი. ეს მშენებლობა კიდევ უფრო მეტად დაგვაახლოვებს ჩვენს ზეციურ მფარველთან და განგვამტკიცებს ღვთისკენ მიმავალ გზაზე.

ტაძრის მშენებლობაში მონაწილეობის მსურველმა პიროვნებამ დღეში ერთხელ მაინც უნდა წარმოთქვას ივერიისად წოდებული ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატის ტროპარი.

წმიდისაგან ხატისა შენისა, ჰოი, დედოფალო ღვთისმშობელო, სიმრთელენი და კურნებანი უხვად მოეცემიან ყოველთა, სარწმუნოებით და სიყვარულით მისდა მოლტოლვილთა. ამისთვის ჩემსაცა უძლურებასა მოხედენ და შეიწყალენ სული ჩემი, სახიერო, ხოლო ხორცითა განმკურნენ მადლითა შენითა, ყოვლადწმიდაო.

ტაძრის აგებაში მონაწილეობა ნებისმიერ მსურველს შეუძლია. მშენებლობის ანგარიში გახსნილია საქართველოში მოქმედ ყველა ბანკში. ნებისმიერ პირს შეუძლია მისთვის სასურველ ბანკში მხოლოდ ერთხელ მისვლა და ავტომატური დავალების მომსახურების მეშვეობით, წმინდა სავანის მშენებლობის დასრულებამდე აქციაში ჩართვა. ამის შემდეგ მისი ანგარიშიდან ყოველთვიურად ჩამოიჭრება წინასწარ მითითებული თანხა და გადავა ტაძრის მშენებლობის ანგარიშზე.

აქციის ყოველ მონაწილეს შეუძლია შეწიროს თანხა ახლობლების, როგორც ცოცხლების ასევე გარდაცვლილების სახელზე და იმ პირთა სახელზეც ვისაც არ გააჩნია მატერიალური შესაძლებლობა, მაგრამ ისტორიულ მშენებლობაში მონაწილეობის დიდი სურვილი აქვს.

აქციაში გასაწევრიანებლად, ყოველთვიურად 1 ლარის გადარიცხვა შეგიძლიათ ნებისმიერი სატელეფონო ოპერატორიდან ნომერზე **0901 77 77 77** დარეკვით.

მთავარი ტაძრის არქივში დაცული იქნება წიგნი – ცოცხალთა და გარდაცვლილთა, სადაც ჩაიწერება ტაძრის აღმშენებელთა გვარ-სახელები.

**ისტორიულ აქციაში მონაწილეობის მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომერზე:**
**214 04 84; 240 24 54**
**www. makhata.ge; E-mail: info@iveriisa.ge**

**ფონდი „ივერიისა“ (ს/კ 404868318)**